4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

4.1. ფაკულტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელით.
4.2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი - სადოქტორო პროგრამაში ჩართული სრული ან ასოცირებული პროფესორი.
4.3.სამეცნიერო ხელმძღვნელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
4.4. დოქტორანტის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის სადისერტაციო საბჭოს წევრი.
4.5. სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევისას პირველ რიგში განიხილება დოქტორანტის მიერ შემოთავაზებული კანდიდატურა.
4.6. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებას.
4.7. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს და სადისერტაციო თემის სათაურს ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სადოქტორი პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით.
4.8. ერთი პროფესორი ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს სამი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (შეზღუდვა არ ვრცელდება ე. წ. გარდამავალი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების ხელმძღვანელობაზე).
4.9. თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს.
4.10. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს, დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელად დაუტოვოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აღარ უჭირავს თსუ-ში აკადემიური თანამდებობა. ასეთ შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მისი საბჭოში მოწვევის შესახებ.